



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 646
17/08/2017

ბრძანება

646-09-4-201708171758



ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტურ (შრომითი ხელშეკრულებით ასაყვანი) პოზიციებზე გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებისა და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანლის 2017 წლის 16 აგვისტოს N2933-09 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვბრძანებ:


1. გამოცხადდეს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებულ შემდეგ ვაკანტურ (შრომითი ხელშეკრულებით ასაყვანი) პოზიციებზე გამარტივებული კონკურსი:

- ა) ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე-საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში;
- ბ) ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი (სამოქმედი ტერიტორია) დიდაჭარის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფელი: დიდაჭარა);
- გ) ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი (სამოქმედი ტერიტორია) რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულში (სოფლები: ბოძაური, რიყეთი);
- დ) ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი (სამოქმედი ტერიტორია) დიოკნისის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფლები: დიოკნისი, მანიაკეთი, ტაბახმელა, ჯვარიქეთი);

2. დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძეს) გონივრულ ვადაში უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და კონკურსის გამოცხადება, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მისი ჩატარება;

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში(მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა